

რა გახდათ 2018 წლის შევერსაბაზის და სამომავლო გამოხატვი

გვერდის თავის რეპორტი გამოხატვის შესახებ

■ წარმატების ინდიკატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია რეგიონიდან, რომელიც 500 საუკეთესო შორის არის და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის — ეს გახლავთ U.S. News&World Report-ის 2019 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირების მონაცემები. რანჟირებისთვის განხორციელებულ კვლევებში მსოფლიოს 75 ქვეყნის 1250 საუკეთესო უნივერსიტეტი მოხვდა.

თუ არის ერთადერთი უნივერსიტეტი რეგიონიდან, რომელიც მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიურ რანჟირებებში (Times Higher Education/THE (მესამედ) და Shanghai Ranking) მოხვდა. QS Top University Ranking Eastern Europe and Central Asia რანჟირებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 109-ე ადგილზეა და ლიდერ პოზიციაზეა კავკასიის რეგიონის უნივერსიტეტებს შორის.

■ თავის უკირატესობა — საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია სამსრუთ კავკასიის რეგიონში იმ სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობით (300-ზე მეტი), რომელიც 2018-2020 სასწავლო წლებში ERASMUS+ International Credit Mobility (ICM)-ის დაფინანსებული პროგრამით ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლიან და აიმაღლებენ ავალიფიკაციას.

ბოლო წლებში თავის 100-ზე მეტი უცხოელი პროფესიონალი ეწვია გაცვლითი პროგრამის ფარგლებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური საერთაშორისო კავშირები უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სწავლება არა მხოლოდ ევროპულ, არამედ აზიის წამყვან უნივერსიტეტებში გააგრძელონ. უკვე არაერთი სტუდენტი ეწვია აშ შიზნით, მაგალითად, პერიოდ — ისრაელში, იაპონიაში, სინგაპურში, ტაილანდში, მალაიზიაში, ინდონეზიაში და ა.შ.

თავის ევროპის მასშტაბით, 26 ქვეყანაში 80-ზე მეტ პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს „ERASMUS+“-ის 171 პროექტის ფარგლებში. ამასთანავე, თავის ინსტიტუციური პარტნიორების რიცხვი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში 200-ს აღწევს.

■ საერთაშორისო სამეცნიერო კაცვილები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსების თანამშრომლობას ატომური ბირთვული კვლევების

ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) უკვე დიდი და საინტერესო ისტორია აქვთ. თსუ მონარიტულებს CERN-ის ATLAS ექსპერიმენტში, იულიის კველებითი ცენტრის (Forschungszentrum Jülich) COSY ამაჩქარებლებზე მიმდინარე ექსპერიმენტში, უნივერსიტეტის მეცნიერები არიან ხმელთაშუა ზღვაში დაწყებული ნეიტრინული ფიზიკის და ასტროფიზიკის საერთაშორისო სამცნიერო პროექტის KM3NeT სათავეებთან მყოფი 15 ქვეყნის ფიზიკოსებს შორის. U.S. News&World Report-ის 2018 წლის დარგობრივი რანჟირებით, თსუ ფიზიკის მიმართულებით 278-ე ადგილს, შანხაის დარგობრივ რანჟირებებში კი — N151-200 პირიციას იკავებს.

უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა — ისარგებლობი „ჭკვანი ლაბორატორიებით“ (SMART|EDM და SMART AtmoSim), რომელიც თავისი იულიის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით 2016-2018 წლებში გაიხსნა; უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტში კიდევ ერთი ახალი — SMART|SmR_Lab (School meets Research) ამიქედვდება.

2012 წლიდან ლაიდნის უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გახსნილია ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების მოწვეულ პროფესიონალური ცენტრი; უნივერსიტეტში უკვე თავისი არაერთმა პროფესიონმა ჩატარა კურსი ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში. ლაიდნის წარმატების მაგალითის გაფართოებას თავის 2019 წლიდან რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით შეცდება — ქართული ენის კათედრები კიდევ 6 ევროპულ უნივერსიტეტში გაიცნება.

■ „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ცენტრი თავის-ში

ევროკავშირის არაწერი ქვეყნებიდან პირველად საქართველოში, თავისი გაიხსნება „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ცენტრი. ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღოს „აკადემია ევროპეას“ მიმართული საბჭოს ცევრებმა ბარსელონაში, ყოველწლიურ შეკრებაზე. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა — „აკადემია ევროპეას“ მიიღო ევროგაერთიანების არაწერ ქვეყნებში კვლევითი წარმომადგენლობის გახსნის გადაწყვეტილება, ანუ ეს იქნება პირველი ჰაბი, რომელიც გაიხსნა ევროკავშირის არაწერ ქვეყნაში. ამით ძალიან ბევრ ახალგაზრდას მიეცემა შესაძლებლობა ჩატარობის სხვადასხვა ევროპულ პრო-

გრამაში.

■ უცხოელი სტუდენტები თავის-ში და საერთაშორისო პროგრამები

2018 წელს უცხოეთის მოქალაქე 29 სტუდენტი იყო იმ კურსდამთავრებულებს შორის, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშის პაკალავრიატის გამოშვების ცერემონიაზე პიპოკატეს ფიცი დადო. წელს თავის-ში მედიცინის ფაკულტეტში და სხვა პროგრამებში უკვე 600-მდე უცხოეთის მოქალაქე სტუდენტი სწავლობს. საერთაშორისო სტუდენტებს თავის-ში დღეს შეუძლიათ 22-მდე უცხოენოვან პროგრამაზე შეაჩინონ.

აღსანიშნავია, ამ პროგრამებს ISET-ის ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიც, რომლებიც აშშ-ს და ასავლეთ ევროპის პროგრამების შესაბამისია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ პროფესიონერები ასწავლიან. საერთაშორისო ხარისხის განათლებას დღეს აქ უკვე 11 ქვეყნის წარმომადგენლები იღებენ. წარმატებული კურსდამთავრებული კი წამყვან პოზიციებს იკავებენ რეგიონში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) საერთაშორისო აკადემიკური მეცნიერების მქონე (ABET, CSA, WASC) საბაკალავრო პროგრამები STEM დარგებში და მიიღონ ამერიკული დიპლომი. თანამშრომლობის ფარგლებში თავის-ში განახლდა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა ლაბორატორიები და სააუდიტორიო ოთახები. თანამშრომლობა 2015 წელს დაიწყო და ამჟამად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საქართველოში შემოთავაზებულ პროგრამებზე 500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, მათ შორის თავის-ში 430-მდე.

2019 წელს თავის-ში შპაიერის პროგრამა 10 წლიანი იუბილე აქვს — ივანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის საფუძველზე იურიდიულ ფაკულტეტში უკვე 10 წელია ხორციელდება ინგლისურენოვანი, საერთაშორისო აკადემიკური გამოყიდვები გამოყიდვების მქონე, სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“. პროგრამის ფარგლებში 100-მდე სტუდენტმა გაიარა სასწავლო პრატიკის ევროპის ქვეყნების სხვადასხვა საჯარო დაწყებულებაში და მიიღო საერთაშორისო აკრება.



■ ახალი რესურსები სტუდენტებისთვის

უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესიონერებს აქვთ ლიან წვდომა მრავალ უმნიშვნელოვანებს საერთაშორისო ელექტრონულ ბაზასთან, რაც მათ მსოფლიო სამცნიერო სიახლეების რეალურ დოკუმენტებს უნიკალურ საშუალებას აძლევს. ასეთი რესურსებია: Elsevier, Scopus (www.scopus.com), Sciedirect (www.sciencedirect.com), EBSCO Econlit (<https://goo.gl/pbtlg3>), Royal Society Journal Collection (www.royalsocietypublishing.org), England Journal of Medicine ([www.nejm.org](http://nejm.org)), Oxford Textbook of Medicine ([www.oxfordmedicine.com](http://oxfordmedicine.com)), BioOne (www.bioone.org), ECD-Library (www.oecd-ilibrary.org), Cambridge Journals Online ([www.journals.cambridge.org](http://journals.cambridge.org)), HINARI Health Access to Research Initiative - ([www.who.int/hinari](http://who.int/hinari)).

თავის-ში ევროპული სტანდარტების 320-ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კომპლექსი ლისის ტბასთან 2018 წლის დასაწყისიდან გაიხსნა. კომპლექსში ყველა პირობაში შექმნილი, რომ სტუდენტებისმა კომფორტულ გარემოში იცხოვონ.

სულ რამდენიმე დღის წინ მოწყობილი არამდენად გათვალისწინებულ საცხოვრებლის მათ შემთხვევაში საცხოვრებლის მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის საფუძველზე იურიდიულ ფაკულტეტში უკვე 10 წელია ხორციელდება ინგლისურენოვანი, საერთაშორისო ტექნიკური გამოყიდვების მქონე, სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“. პროგრამის ფარგლებში 100-მდე სტუდენტმა გაიარა სასწავლო პრატიკის ევროპის ქვეყნების სხვადასხვა საჯარო დაწყებულებაში და მიიღო საერთაშორისო აკრება.

სულ მალე, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესიონ

ცნობისმოყვარეობა და ინტერაქცია, რამაც გაცნოლის გზა განსაზღვრა

მაის ბორბაპი

ତ ଯ ମେଫନ୍ଦିରକାଶି ରାମିଥେ ଲୀର୍ହ-
ଶୁଳ୍ଲସ ଅପେତେବ, ଏସ ଗଠି, ଅସେତି
ବାସିବାଟି ଘାଜ୍ଵିଲୁ — ବାର ହିନ୍ଦୁର୍ବେ-
ଣ୍ଣଲା, ଘଲାବ୍ଦ ଉନ୍ନବିଶମ୍ଭୂତାର୍ଥୋପା ଏବଂ
ଏତି ସୁଲ୍ଲିଙ୍ଗ ଘାଜ୍ଵିଲୁ, ରନ୍ଧିରୀ ଉପାସିଲ୍ଲେବ୍
ଶେନ୍ଦି ଗାହିନ୍ଦିଲୁ କିଠକେବ୍ଦେଶ୍.

ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს —
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის პროფესორს, რევაზ შანიძეს ამგ-
ვარი ინტერესი ბავშვობიდან გასჩენია
— მიუხედავად იმისა, რომ ექიმების
ოჯახში გაიზარდა და გზა ამ სფერო-
ში, ფაქტობრივად, გაკვალული პერნ-
და, მომავალი პროფესია საბჭოს ქუჩა-
ზე მდებარე პატარა იტალიურ ეზოში
მცხოვრებმა მეზობელმა — ფიზიკოსმა
გურამ დოლიძემ გინუსაზღვრა. ახლა
ამბობს — თუ უცხოეთში წლობით
ცხოვრების პერიოდშიც ვერასოდეს
მოვცილდი თბილის, ეს იმ ეზოში ღრ-
მად გადგმულმა ფესვებმა განაპირობა
— იქ ტრიალებდა ქველი ქართული
ინტელიგენცია და საქმის, პროფესის,
ადამიანებისა და ქვეყნის სიყვარულიც
აქედან ჩამონარგაო.

სკოლაში კარგად სწავლობდა, თუმცა საკუთარ დას ვერ ედრებოდა. მისი წყალობით არც გავვეთილების ჩასანიშნად იწუსებდა თავს, იცოდა — სახლში მისულს, ტყუპისცალი ყველაფერს მოწესრიგებულს დაახვედრებდა, ამიტომ თავისუფლად შეეძლო ცოტა ეცელეა და შეგონებრებთანაც შეტი დრო გაეტარებინა.

სპეციალობის ასარჩევადაც დიდად
არ უფიქრია — საკუთარი ბიძისა და
ფიზიკოს გურამ დოლიძის საუბრებმა
ადრიდანვე გაუჩინა ინტერესი და სა-
ბუთებიც თამამად შეიტანა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახლა ამ
არჩევანზე აბობას, რომ საფუძვლიანად
ვერც ხვდებოდა, სად შევიდა, მაგრამ
სწავლის პროცესმა და ფიზიკისადმი
ღრმად ჩამოვარმა ინტერესმა მალე და-
ნახა გზა, რომელმაც შემდგომ საკმაოდ
დიდი წარმატებები მოუტანა.

အေရာင်းဆုံး ဝါယာ နှင့် ပြည်သူ့

უნივერსიტეტში ხუთწლიანი სწავლის შემდეგ ბევრი კურსდამთავრებული მიდიოდა დიპლომის ან დისერტაციის დასაცავად მოსკოვის ილქში მდებარე ფუბნის საერთაშორისო ინსტიტუტში. მაშინ მხოლოდ ეს ცენტრი არსებობდა ფიზიკოსთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩასართავად და რევაზ შანიძემაც დუბნა და ცნობილი მეცნიერი, დღეს უკვე დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის ვიცე-რექტორი და სკამაოდ დიდი ლაბორატორიის ხელმძღვანელი — ვლადიმერ კეკელიძე აარჩია. ახლა თვლის, რომ მაღალი ენერგიების ფიზიკისადმი ინტერესი და მისი სამეცნიერო ცხოვრების გზაც სწორედ დუბნადან, ვლადიმერ კეკელიძიდან და შემდეგ თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტიდან დაიწყო.

დუპნაში მიმდინარე ექსპერიმენტის
საფუძვლზე მოამზადა დიპლომიც, მა-
გრამ ასპირანტურაზე არ უფიქრია —
დაპრუნდა და თსუ-ის მაღალი ენერ-
გიების ფიზიკის ინსტიტუტში დაიწყო
მუშაობა — ჯერ ლაპორანტი იყო,
შემდეგ — უმცროსი მეცნიერ-მუშაკი,
ხოლო დისტრიციის დაცვის შემდეგ
უფროს მეცნიერ-მუშაკად განაგრძო სა-
ქმიანობა.

ქინიასობა. სხვათა შორის, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტშიც გურაძ დოლიძემ მიიყვანა პირველად და სტუდენტობისას სახელშეკრულებო თემებში ჩართო — ასე განაპირობა ერთმა და იმავე პიროვნებამ როგორც რევაზ შანიძის სპეციალობა, ასევე მისი სამეცნიერო მომავალი — იგი მაღალი ენერგიების ფიზიკას აღარ მოსცილებია.

გზა დუბლინის KM3NeT-ავდო

საკანდიდატო დისერტაცია 1990
წლს დაიცვა. მაშინ იგი, როგორც მა-



რევაზ შანიძე

რომლად. ამავე პერიოდში ჩაერთო გამომავალი წრფივი e+e-კოლაიდერის სამეცნიერო პროგრამის მომზადებაში

კველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერ სანა რევაზ შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში მაინც გერმანიაზე მოდის ამ ქვეყანაში, საერთო ჯამში, მცირდებულების გამოკლებით, 20 წელს გაატარა. აქ ჩატარებული იქნა სპინის სტრუქტურის შესწავლაში (ქვესარიმეტრი HERMES, ორმელიც HERA-ამაჩქარებულზე ტარდებოდა (DESY, ჰამბურგი, გერმანია). აქვე 15 წელი მუშაობდეს ერლანგენის უნივერსიტეტში. სხვათ შორის, ეს ის ერლანგენის უნივერსიტეტი, ტია, რომელში განთავსებული პატარა ამაჩქარებლის თბილისში ჩამოტანა იგეგმებოდა, მაგრამ, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები გამო, ვერ მოხერხდა.

სადოქტორო დისერტაცია 200
 წელს დაიცვა. რევაზ შანიძის დისერტაცია სამი ნაწილისგან შედგებოდა რადგან მასში გააერთიანა CERN-ში DESY-სა და ერლანგენის უნივერსიტეტში, უკვე პამბურგის ამაჩქარებელ

თან დაკავშირებული ექსპერიმენტის
მასალები და შრომები. დღემდე მის
აკტორობით და თანამონანილეობის
200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია გვ
მოქვეყნებული, 2012 და 2013 წლებში
მეცნიერთა ჯგუფთან ერთად შესრუ
ლებული შრომები კი აღიარებული
მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან
სამეცნიერო მიღწევებად (2012 წელ
ჰიგსის ნაწილაკის აღმოჩენა CERN-ი
დიდი ადრინბულ კოლაიდერზე; 2011
წელს მაღალი ენერგიების კოსმოს
ური ნეიტრინოების რეგისტრაცია Ice
Cube ექსპერიმენტში). ეს კიდევ ერთ
მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველ
მეცნიერები თანაბარზომიერნი არა
უცხოელი მეცნიერებისა და, მიუხედა
ვად ძალზე მწირი შესაძლებლობების
მაინც ახერხებენ, იყვნენ ლირსეული დ
ანგარიშგასასაწევი პარტნიორები ევრო
პელი და ამერიკელი კოლეგებისათვის
„ვფიქრობ, რომ ქართველ მეცნიერთ
დიდი ნაწილი საერთაშორისო ასპე
რეზის საქამიად კონკურენტუნარიანი
მას შემდეგ, რაც საზღვრები გაიხსნა
ბევრმა დაადასტურა, რომ ჭკვიანი,
წიერი და გონიერი ხალხი ვართ, მა
გრამ ამ პროცესს ერთი მინუსიც აქვ
— სამწუხაროდ, ეს ხალხი ძალიან ცნო
ბილ სამეცნიერო ცენტრებში გადავიდ
სამუშაოდ და იქ დარჩა. თუმცა ამი
საქართველოს ბევრი პერსონალი ულ
ახალგაზრდა დააკლდა,“ — ამბობს ბა
ქონი რეაზი.

KM3NeT პროექტი

ახალი საერთაშორისო პროექტი ასტრონაულიკების ფიზიკაში, რომელ შიც 2005 წლიდანაა ჩართული, რევოლუციური მანიპულაციის გამოწვევას ექსპერიმენტს ერქვა „ანტარესი“ (ANTARES) და განლაგებული იყო ხმელთაშუა ზღვაში, საფრანგეთის სანაპიროსთან ახლოს 2500 მეტრის სიღრმეზე. საფრანგეთში, ქალაქ ლა-სენ-შენერანთავებული იყო ამ ექსპერიმენტით მართვას ცენტრი, სადაც მოდიოდები ინიცირდა/ია. ექსპერიმენტი

კომპიუტერების საშუალებით ამ ცენტრიდან ვმართავდით. საინტერესოა, რომ „ანტიარესი“ დღესაც მუშაობს და 2019 წელს დასრულდება. ახლა ჩვენ უკვე ახალ დეტექტორს ვამზენებთ და ძალების გაყოფა რომ არ იყოს, კონცენტრაციას ვაკეთებთ ახალ დეტექტორზე, რომელიც „ანტიარესს“ შეცვლის. ახალი ექსპერიმენტი უზარმაზარია. ის ხელთაშუა ზღვაში უნდა გაკეთდეს. ამისთვის სამი ადგილია გამოყოფილი: საბერძნეთთან, იტალიასთან და საფრანგეთთან. ცხადია, გამოცდილებიდან გამოდინარე, საფრანგეთის ადგილი ყველაზე მიმზიდველია“, — გვიყვება ქეცინერი.

„დღეს უკვე შეგვიძლია სამყარო
ელექტრომაგნიტური გამოსხივების
მთელ დიპაზონში დავინახოთ, რაც
გაცილებით დიდ ინფორმაციას მოგვ-
ცემს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს
სამყარო, როგორ წარმოიქმნა და რო-
გორ გაგრძელდება მისი ეკოლუცია.
გარდა ელექტრომაგნიტული გამოსხივე-
ბისა, სამყაროში კიდევ სხვა ნაწილაკე-
ბიც არის — მაგალითად, ნეიტრინოები,
რომლებითაც დანახული სამყარო აჩსო-
ლუტურად უნიკალურია. ნეიტრინული
ექსპრიმენტების შედეგად დადასტუ-
რებულია, რომ მზის ენერგიის წყაროს
თერმობირთვული რეაქციები წარ-
მოადგენს, რომლის დროს წყალადი
ჰქონდებოდა გარდაიქმნება. ერთადერთი
საშუალება — მივიღოთ ინფორმაცია
მზის გულში მიმდინარე თერმობირთ-
ვულ რეაქციებზე, არის ნეიტრინოების
დაკვირვება, რომლებიც ამ პროცესებში
ჩნდებიან. ნეიტრინოებს შეუძლიათ მზე
ურთიერთქმედების გარეშე გადაკვეთონ.
ჩვენში ყოველ წამს მზეში დაბადებული
მიღლიარდობით ნეიტრინო გადის, რომ-
ლებსაც, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავთ და
ვერ ვგრძნობთ. რამდენიმე ნეიტრინოს
დაკვირვებას უზარმაზარი დეტექტორე-
ბი და, შესაბამისად, ძალიან დიდი მატე-
რიალური რესურსები სჭირდება, მაგრამ
ამ ინფორმაციის მიღება სხვა საშუალ-
ებებით შეუძლებელია. სხვადასხვა ენერ-
გიის ნეიტრინოები სხვადასხვა პროცე-
სებში ჩნდებან და მათი დაკვირვება,
ისე, როგორც მზის ნეიტრინოების დაკ-
ვირვების შემთხვევაში, სამყაროში მიმ-
დინარე პროცესების უნიკალურ სურათს
მოგვცემს“, — გვიხსნის მეცნიერი.

ნეიტრინული კველების ახალი
ექსპერიმენტი, რომელიც ცნობილია,
როგორც KM3NeT, ძალიან დიდი
პროექტია, რომელიც რამდენიმე ასეუ-
ლი მილიონი კვრო ღირს. იგი ღირე-
ბულების გამო ფაზებად არის დაყოფი-
ლი. პირველი ფაზა მაღე დამთავრდება —
მისი მიზანი იყო ერვნებინა, რომ
შესაძლებელია ახალი ტიპის დეტექტო-
რების ზღვაში განლაგება. მეორე ფა-
ზისათვის გამოყოფილია 50 მილიონი
კვრო და ეს ფაზა ორ წელიწადში უნდა
დამთავრდეს. დეტექტორი, წესით, 2020
წლის თასაწესის უნა აშენდოს.

ରେପାଚି ଶାନିଙ୍କ ଅଥ ଏକାନ୍ତର୍ଜାମ୍ବୁଦ୍ଧିଶାଖା ହାରାଟୁ-
ଲ୍ଲିଙ୍ଗା, ରନ୍ଧାରନ୍ଧା ତଥା ବିଜୁ-ର ବାରମାନାମାଧ୍ୟବ୍ରତ-
ଲ୍ଲିଙ୍ଗା. ଶ୍ଵେତ ପ୍ରତ୍ଯା ବେଳେ ବିନ ତଥାଲିଲୀରେ
ବାନ୍ଧେଲାମ୍ବିତକୁ ଉନ୍ନିବ୍ୟାରଣ୍ସିକ୍ରେତ୍ରିଲେ ମାତାଲିଙ୍ଗ
ଏନ୍ଦ୍ରର୍ଗାଇପ୍ରିବ୍ସ ଫୋର୍ମିକ୍ସି ନିନ୍ଦାତ୍ମିକ୍ୟାଙ୍କା ଏବଂ
ଦା କରନ୍ତେ କିମ୍ବା KM3NeT ବାରାତାଶାନରୀଳିରେ
ବାନ୍ଧାବନାରାତ୍ରିକ୍ସା ଶର୍ମିଳା, ରନ୍ଧେଲାମ୍ବିତିରୁ
16 କ୍ଷେତ୍ରରେ ମେଦିନୀପୁରରେ ମନବାନ୍ଧାବନାର୍ଥୀ,
ତାନିମିଶ୍ରରନ୍ଧାମଲାବିନ୍ଦୀ କ୍ଷେତ୍ରପ୍ରକୃତ୍ୟାଙ୍କାପ ଗା-
ଫୋରମିତା. ଅଥ ତାନିମିଶ୍ରରନ୍ଧାମଲାବିନ୍ଦୀ ଫ୍ରାଙ୍କ-
ଲ୍ଲେବଶି କି ତୈଥେରାବଳିଶି ଗାନ୍ଧାରାତ୍ରେ ପାଇଲା
ବାରମାନାମାଧ୍ୟବ୍ରତକ୍ରମିତିରେ ବାରାତାଶାନରୀଳିରେ
ବାନ୍ଧେଲାମ୍ବିତକୁ ଉନ୍ନିବ୍ୟାରଣ୍ସିକ୍ରେତ୍ରି ଶୁଭାଶିକିନ୍ଦ-
ନ୍ଦିତି.

„გადაცემისთვის, რომ უპირატესია“

რევაზ შანიძეს უცხოეთში წარმატება არ აკლდა და სრულიად ძალადაუტანებლად შეეძლო — იქვე განეგრძო მუშაობა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ქვეცნობიერში ყოველთვის ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თბილის-ში დაბრუნებულიყო. ამაში, პირველ რიგში, ოჯახმა შეუწყო ხელი... იმ ფონზე, როცა საერთველოს მოსახ-

თუ-ის დოქტორინინგრები საგრანტო კონკურსის შედეგებით კვლავ ლილიონგან

ოქტომბრანტურის საგან-
მანათლებლო პროგრამების
2018 წლის საგრანტო
კონკურსში, რომელიც რუსთავე-
ლის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის მიერ გამოცხადდა, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტები კვლავ ღიადერები
არიან — კონკურსში გამარჯვე-
ბული 54 პროექტიდან 28 პროექტი
(გამარჯვებული პროექტების 52%)
თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის დოქტორანტებს ეკუთ-
ვნით.

თუ გასული წლების მონაცემებს გადავაკლებთ თვალს, თსუ-ის დოქტორანტები ტრადიციულად ლიდერობდნენ (2017 წლის კონკურსის შედეგად დაფინანსებული 40 პროექტიდან 14 (35%) თსუ-ის სტუდენტებს ეკუთვნოდათ), მაგრამ წლევანდელი მონაცემები რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაზე მიანიშნება.

2018 წლის დოკტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით ადაფინანსების კონკურსის გამარჯვებული პროექტები მეცნიერების თითქმის ყველა დარგს მოიცავს, მათ შორის არის ეკონომიკა, ფინანსები, ეკოლოგია, ტურიზმი, სოციოლოგია, ქართველობობრივი და სხვ.

გამარჯვებულ დოქტორანტთა შორის არიან: გიორგი ბენაშვილი („თავისუფალი ვაჭრობის გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, საქართველოს მაგალითზე“); მარიამ ჯიბუტი („სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები“); ნინო გუგუშვილი („სოციალური ქსელების გავლენა სუბიექტური კარგად ყოფნის განცდაზე“); ლევან ალფაიძე („თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ეკოსისტემების სერვისების შეფასება (თბილისის საქალაქო

საჯარო პარკების მაგალითზე”); გვანცა სალუქვაძე (“მაღალმთიანი მოსახლეობის ეკონომიკური პრიორიტეტების სივრცითი და დარგობრივი ინკლუზიურობა ტურიზმის სწრაფი განვითარების ფონზე”); მაია კილაძე („ომიტ, გენდერი და სექსუალობა ახალქარძენულ პიესებში”); მარიამ შენგალია („ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესი და კრეატინით მისი პრევენციის მექანიზმი”); თეა თალაკვაძე („90-იანი წლების გარდატეხა ქართული ინტერაციურაში”); ნოდარ კილაძე („ინფლაციური პროცესების რეგულირების პრობლემები — საქართველოს მაგალითი

დულ სასიგხანობა გზებზე”); ცოტხე იაბ-
ვილი (“უთანასწორობის გავლენა ეკო-
ნომიკურ ზრდაზე საქართველოს მაგა-
ლითზე”); თამარ ქამუშაძე (“ხასიათის
სიმტკიცები: პიროვნული აშლილობის
გაგების ნათელი მხარე”); თამარ ჩხაიძე
(“ბედისსწერა – ქართული კულტურული
მოდელი”); მარიამ ოდილავაძე (“ემა-
გრაციის გამოცდილება: ორაზოროვნი
დანაკარგისა და ფსიქიკური მედეგო-
ბის ურთიერთმიმართება”); ალექსანდ-
რე გვერდაძე (“აღმოსავლეთ აჭარა-
თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარ-
ტყელის ზურგის შეცოცებების ზონის
(თელეთი-კუმისის ფართობი) აქტიური
ტექტონიკა”); ანა გოგოლაშვილი (“ენ-

სტულ ლიტერატურაში").
დოკტორანტურის საგანმანათ-
ლებლო პროგრამების გრანტით დაფი-
ნანსების კონკურსის მიზანია ნიჭიერი
ახალგაზრდა მკვლევრების გამოვლე-
ნა და მათი სადოქტორო კვლევების
თანამედროვე საერთაშორისო სტან-
დარტებთან შესაბამისობაში განხორ-
ციელების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვ-
ლევისათვის სათანადო პირობების შე-
ქმნა, დოკტორანტებისა და უცხოეთში
არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო
და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულე-
ბებთან თანამშრომლობა და ამ გზით
საქართველოში უმაღლესი განათლების
ხარისხის ამაღლება.

PhD

რომელში (6 თვე) ფონდიდან მოთხოვ-
ნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს
10 500 ლარს. ამასთან, დოკტორანტის
სტიპენდია ერთ საანგარიშო პერიოდში
(6 თვე) არ უნდა აღემატებოდეს 5250
ლარს.

ფონდის პირობების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია, რომ პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამცნოერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking, Scopus, Web of Science, ERIH plus-ში, ასევე, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამცნოერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული საერთაშორისო რეფერირებადი და ციტირებადი ჟურნალები: *Transactions of A. Razmadze Mathematical Institute* (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და *Annals of Agrarian Science* (აგრარულ მცნოერებათა მემატიკანე).

თსუ-ის საზოგადოებრავთან
ურთიერთობის დეპარტამენტის
მასალების მიხედვით მოამზადა
გაიატორება

სტულანტური კიბექორის მოგება 8061

ଶ୍ଵାରିତ୍ୟରେ ପାଇଲାମାନଙ୍କ

— განსაკუთრებული მადლობა მინ-
და ვუთხრა თსუ-ის რექტორს გიორგი
შარვაშიძეს, რომელიც დაჯილდოების
ცერემონიალს დაესწრო, რათა ჩემთვის
ეს განსაკუთრებული საჩუქარი მოელო-
ცა. არ არსებობს საკმარისი სიტყვები,
რომელიც ჩემს მადლიერებას ბოლო-
მდე გამოხატავს. მადლობა, მადლო-
ბა, მადლობა!!!“ — ასე გამოხატა ანი
კიბაპიძემ თავისი სიხარული და ემო-
ცია, როდესაც ტელეკომიპანია „მედის“
ეთერში ტერასა ჯგუფისგან უნიქარდის
გათამაშების მთავარი პრიზი — ბინა
ლისზე მოიხა.



ანი რუსთავში ბეჭისასთან ერთ-
ად ცხოვრობს. რუსთავის მე-2 საჯა-
რო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სტუდენტი ასრდა.

„ଦ୍ୱାବୁଶ୍ଵରପାଶୀ କାନ୍ତିକାନ୍ତ କାଶ୍ଚୁଗିଳାଇଲେ
ସାନ୍ତେଲାଙ୍ଗବିଳେ ସାନ୍ତାଲ୍ଲେତିମ ସାନ୍ତାଲ୍ଲେପ୍ରେଲ୍ଲଶି
କଷଣ୍ଟାଲ୍ଲବିଳେବିଳେ, ତୁମ୍ଭମ୍ଭା ଶେମଦ୍ଦେଶ ରୁଷସାତା-
ବିଳେ ମେ-2 ସାଜ୍ଜାରିମ କ୍ଷାମଲା ଧାଵାନ୍ତାକର୍ମ-
ବିଳେ ନ୍ତର୍ରିପ୍ଶି, ରନ୍ଦେଶାତ୍ ଶୁକ୍ରା ଫି-
ରିକର୍ଣ୍ଣ ଧାଵିନ୍ଦ୍ରୀତ ମିଥ୍ୟେ, ତୁ ରା ମିନ୍ଦନ୍-
ଧା ପ୍ରେବର୍ଣ୍ଣବିଳେଶବାନ୍, ରନ୍ଦେଲ ସଭ୍ରମଶି
କିଗରିନ୍ଦନ୍ବିଳେ ତାତ୍ତ୍ଵ କାରଗାନ୍, ଅଜାହଶି
କିଶ୍ଵାଦାଶବ୍ଦିବା କାରିନାନ୍ତିଶ ଗାନ୍ଧିନ୍ଦିଲାଵିଳେତ,
ତୁମ୍ଭମ୍ଭା ବିଳେ ନ୍ତର୍ରିପ୍ଶି ଶୁକ୍ରିନ୍ଦନ୍ବିଳେ ଗାଧାଵ-
ନ୍ତର୍ରିପ୍ଶି ତେଜୁ-ଶି ହିବାର୍ଯ୍ୟବା, କାହିଁବାଲ୍ଲା-
ବାଦ କି ସାମିରତାଲ୍ଲା ଆଵିରିହିୟେ. ମିଥ୍ୟିଲେ
ମିଲାନ୍ତିନ୍ଦିବାନ ତାତ୍ତ୍ଵବ୍ଦିନାନ୍ତିବାନ ଶିଖିବାଲ୍ଲା-

წეობდი. 2014 წელს სტუდენტი გავხდიდა სრული დაფინანსებაც მოვიპოვეს. ჩემთვის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელი დაუვიწყარი, ნაყოფიერი, დატვირთული, შემცნებითი იყო. ძალიან პევრი რამ მომცა უნივერსიტეტში, გავხდი მეტად თავდაჯერებული და, რაც მთავარია, პროფესიულად გავიზარდე“, — ასე იხსენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულ წლებს. ანი უძაბნებია.

პროექტს უწევს ზედამხედველობას, კერძოდ, საქართველოს მასშტაბით სკოლების რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. თავისი ნარჩატებებით ახარებს საზღვარგარეთ სამუშაოდ ნასულ დედას და დას, რომელიც პიზის უნივერსიტეტის სტუდენტია.

„სიმართლე გითხრათ, დღემდე არ
მჯერა, რომ ბინა მოვიგე, სასწაული-
ვითაა... გაიღვიძებ და, უცებ, ბინა
გაჩუქქეს... ცხოვრება მოულოდნელობე-
ბითაა სავსე და განსაკუთრებით სასი-
ხარულოა ასეთი სიურპრიზები. ჩემი
მაშინდელი ემოციის გამოხატვა და აღ-
ნერა ძალიან რთულია, რადგან ეს იყო
ნამდვილი და გულწრფელი რეაქცია.
თავიდან საერთოდ არ ვიცოდი, როცა
მითხრეს — საიდან მირეკავდნენ, რა
პრიზი მოვიგე. ვიცოდი, რომ რაღაც
მოვიგე... რატომძაც უფრო სკუტერს
წარმოვიდგენდი, ვიდრე ბინას“, — ამ-
ბობს ანა.

იღბლანი მოთამაშის გრაფიკი გა-
დატვირთულია: „ბოლოს როდის მქონ-
და თავისუფალი დრო აღარც მახსოვეს,
სულ გადარბენაზე ვარ: სამსახური,
უნივერსიტეტი... თუმცა, თუკი „სას-
წაული“ მოხდა, დიდი ხნის უნახვ მე-
გობრებს ვნახულობ, ან თეატრში მივ-
დივარ, რადგან ძალიან მიყვარს სპე-
ქტაკლები. ასევე, წიგნების კითხვა ჩემი
საყვარელი „საქმიანობაა“. შემიძლია
ლამები გავათხონ“.

ანი იმასაც ამბობს, რომ არასდროს
წამოსცდენია ფრაზა: „რა უიღბლო
ვარ“ და სხვა მსგავსი, რადგან სჯე-
რა, რომ ყველაფერი ბუმერანგივით
ბრუნდება უკან — სიტყვაც, ქმედებაც,
დამოკიდებულებაც... იქნება ამიტომაც
არის, რომ წარმატება მისი „იღბა-
ლია“.

იარობ გოგებაშვილის „ლელავა“ საოლებელი ბრუნდება

თამარ ლალიანი

ଅନାତଲ୍ଲେବିଳା ଦା ମେଫୁନ୍ଦୀର୍ଗେଡ଼ିଲ୍
ୟୁଗ୍ରୋଲ୍ ମିନୋସକ୍ରିଳ୍ ମିଳେଇଲ୍
ଶ୍ଵେତକ୍ଷେତ୍ରିଲ୍ ଗାଧାନ୍ୟସ୍ଵେତ୍ରିଲ୍ଲେବିତ
ଶ୍ଵେତମନ୍ଦିଲ୍ ଶାବାନଙ୍ଗେଡ଼ି କ୍ରମିଲୋପାଥ,
ନୀକର୍ମ ଗନ୍ଧେବାଶ୍ଵୋଲ୍ଲିଲ୍ କ୍ରିନ୍ଦିପିବେବିଲ୍
ଗାତରାଲ୍ ବିଶ୍ଵିନ୍ଦେବିତ, “ଦେଇଏବା”
ଶାକ୍ରାନ୍ତିଲ୍ ମରାମଥାଫା. ମାଗରାମ,
ଶାମନ୍ତିକାରିନ୍ଦି, ମହେବା ଲେଖ, ରମ୍ଭ
ନ୍ଦେଲ୍ ରାତ୍ରାର୍ଗେବୁଲ୍ଲି ଗର୍ବିତ୍ତିର୍ଗେବିଲ୍
ଶେଷେଗ୍ରେବିଲ୍ ମିଳେଇଗୁଟ, ନୀକର୍ମ ଗନ୍ଧେବାଶ୍ଵୋଲ୍ଲିଲ୍
କ୍ୟୁଲ୍ଲିଲ୍ ମିଳମା ଅଲମିନ୍ଦିନା, ରାମାଚ
ଶାତମଗାଦର୍ଗେବିଲ୍ ଦିଦି ନାନୀଲୋଲ୍ ଶ୍ଵେତ
ମାଗ୍ନୋଲ୍ଲେବା ଗମନୋନ୍ଦିଗା. ରମଗରିତ
ଫାରିତ ଶାତମଗାଦର୍ଗେବିଲ୍, ଆସ୍ତି ଶେଷ-
ଅଗମଗୁରୀ କରିବୁଲ୍ଲିଲ୍ ମରିଦାନ ନ୍ୟୁମ
ଟବୁଙ୍କା ଦା ର୍ଯ୍ୟାକରିନ୍ଦିନାଫାତିଆ, ରମଦ
ଶିବାଜ୍ଞେବିଲ୍ ପରିପ୍ରେଶମି ଲେ ଶୁନ୍ଦିକାଲ-
ଶୁରି ମେତନ୍ଦି ଦାରିର୍ବୁନ୍ଦେଶ୍ଵଲ୍ଲିପ୍ରେ,
ରମଦେଲ୍ସାତ୍ ନୀକର୍ମ ଗନ୍ଧେବାଶ୍ଵୋଲ୍ଲିଲ୍
“ଦେଇଏବା” ମନୋପାତ୍ରଦା. ଅନ୍ତିମିଶ୍ରମ
ନିରିତିବାତ୍ମିକାଶତାନ ଦାକ୍ଷାଶ୍ଵିର୍ଗେବିତ
ଗାନାତଲ୍ଲେବିଲ୍, ମେଫୁନ୍ଦୀର୍ଗେବିଲ୍, କୁଣ୍ଡ-
ତ୍ରୁଷରିଲ୍ ଦା ଶବ୍ରନ୍ତିଲ୍ ଶାମିନୋନ୍-
କ୍ରମମ ମିଳିଲ୍ ଗାଧାନ୍ୟସ୍ଵେତ୍ରିଲ୍ଲେବା —
ନୀକର୍ମ ଗନ୍ଧେବାଶ୍ଵୋଲ୍ଲିଲ୍ “ଦେଇଏବା”
ମନମାଗାଲ୍ ଶାଶ୍ଵତ ବ୍ଲୋଡିନାନ୍ଦ କ୍ୟୁଲ୍-
ଲ୍ଲେବିଶି ଦାରିର୍ବୁନ୍ଦେଶ୍ଵରେ. ଆସ୍ତି ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେ-
ଦା କରିବୁନ୍ଦିଲ୍ କରିବୁଲ୍ଲିଲ୍ ନୀନୋନ୍ଦିନା, ରମଦେଲ୍ସାତ୍
ନୀକର୍ମ ଗନ୍ଧେବାଶ୍ଵୋଲ୍ଲିଲ୍ “ଦେଇଏବା”
ଶିନାରାଶବ୍ଦରିତ ନାନୀଲୋଲ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠର୍ଗ୍ରେ-
ଦାଶା ଦା ଦାମତ୍ତିକିପ୍ରେବାଥ୍ୟ ମଧ୍ୟଶାଶ୍ଵେବିଲ୍
“ଦେଇଏବା” କ୍ୟୁଲ୍ଲେବିଶି ଦାର-
ିନ୍ଦିନ୍ଦିଲ୍ ମନୀଶାରିନ୍ଦିନ୍ଦିବାକୁ ଦା ଅନ-

„დედაენის“ სკოლებში დაბ-
რუნების მნიშვნელობასა და გო-
გებაშვილისეულ პრინციპებზე
გვესაუბრება იაკობ გოგებაშვილის
საზოგადოების თანათავმჯდომარე,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქ-
ტორი, პროფესორი გოგი გოგ-
ლაშვილი:

— ქართულმა საზოგადოებამ საკ-
მაოდ ტრაგიკულად აღიქვა, რომ „დე-
დაენა“ სკოლებში აღარ ჩანს. ანუ,
დღევანდველ ქართულ სკოლებში წი-
გნი, რომელსაც ჰქვია „დედაენა“ და
სახელმძღვანელო, რომლის ავტორია
დიდი იაკობ გოგებაშვილი, აღარ
არსებობს. ეს არის პირველი შემთხ-
ვევა დედაენის არსებობის ისტორია-
ში. 142 წლის წინ, 1876 წელს შეიქმნა
და გამოვიდა „დედაენა“ — ქართული
ანბანის სწავლების ბრწყინვალე სა-
ხელმძღვანელო, რომელიც ყოველთ-
ვის იყო სკოლებში. წელს „დედაენა“
სკოლებში არ შეიტანეს. გრიფირების
შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ეს
საკითხი გახმაურდა კიდეც. ფაქტი
ისაა, რომ იაკობ გოგებაშვილის მე-
თოდით შედგენილი სახელმძღვანელო
არის არამატერიალური კულტურული
მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი,
რომელსაც კანონმდებლობა და საერ-
თაშორისო კონვენციები იცავს. სამ-
წუხაროდ, დაირღვევა კანონმდებლო-
ბა და კონვენციებიც. რაც მთავარია,
ჩვენი სკოლა, ჩვენი მომავალი თაობა
დარჩა უნიკალური „აი ია-ს გარეშე-
მართალია, ბოლო ათწლეულებში სა-
ხელმძღვანელო იყო სახეშეცვლილი და
დამახინჯებული, მაგრამ ერქვა „დედა-
ენა“ და ენერა „იაკობ გოგებაშვილის
მიხედვით“. წელს ესეც გაქრა. პასუ-
ხისმებლობა ამაზე ეკისრება მხოლოდ
და მხოლოდ განათლების, მეცნიერე-
ბის, კულტურისა და სპორტის სამინი-
სტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას.

— ამ ფაქტს ზოგიერთი განათლების ექსპერტი ასე ხსნის: თანამედროვე ბავშვებისათვის იმ ტერმინოლოგით წერა-ეკითხვის სწავლება, რაც XIX საუკუნის მოსწავლეებისთვის იყო მისაღები, არ მოიტანს სასურველ შედეგს და ბავშვებს განათლების მიღებას შეაძლებს. თვითონ იაკობ გოგებაშვილიც ხმა ამბობდა: სიტყვები, რომელიც



უნდა ისწავლონ ბავშვებმა, მათთვის
ახლობელი უნდა იყოს...

— ექსპერტმა, რომელიც ასე ფიქრობს, არ იცის ზუსტად, რომ აქ საუბარია ანბანის სწავლების გოგებაშვილისეულ პრინციპზე. რას გულისხმობს ეს? იმას, თუ რით დაიწყოს ბაკუმა ანბანის შესწავლა, რას რა უნდა მოსადევდეს და როგორ. გახსოვთ, ალბათ, გოგებაშვილისეულ „დედანიში“ გაკვეთილების თანმიმდევრობა: ანბანის სწავლას ვიწყებთ ასე: „აი ია“, მეორე გაკვეთილზე შემოდის ასო „თ“ სიტყვით „თითი“, მესამე გაკვეთილზე ასო „ს“ და ასე შემდეგ... საუბარია იმაზე, თუ როგორ შევიყვანოთ ბაკუმი მარტივად, ძალდაუტანებლად, უფრო მოხერხებულად და უკეთესად იმ სამყაროში, რომელსაც წიგნირების სამყარო ჰქვია. ვინც განსხვავებულად

ფიქრობს და მხარს არ უჭერს ამ პრინციპებს, მათი სახელმძღვანელო ანბანის სწავლას იწყებს სიტყვებით: „აკვარიუმი“, „აქლემი“, „არწივი“ ან „ასკილი“ და „ატამი“... დღეს სკოლებშია ასეთი 2 ტიპის სახელმძღვანელო არსებობს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ „აიია“-ს „აკვარიუმი“ და „აქლემი“ ჯობია, რბილად რომ ვთქვათ, ცდება. ამიტომ ღრმად უნდა გავიაზროთ, თუ რა პრინციპებზეა საუბარი. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ „დედაენა“-ში დარჩეს ყველა ტექსტი და სიტყვა, რომელიც დღეს უკვე აღარც თანამედროვეა და ბავშვისთვისაც ძნელად აღსაქმელია.

— თვით იაკობ გოგებაშვილმაც ხომ რამდენჯერმე შეცვალა „დედაენა“ ჯათანამითობობის მიზნით?

— მან არა მარტო შეცვალა „დე-
დაენა“, არამედ 33-ჯერ გაუკეთა რე-
დაქტირება მას თავის სიცოცხლეში.
1912 წელს ის უკვე 33-ჯერ გამოვი-
და. იაკობ გოგებაშვილი თითოეულ
გამოცემას აუმჯობესებდა და უკე-
თესს ხდიდა, ყოველთვის ცდილობ-
და — ბავშვისთვის ადვილად აღსაქ-
მელი ყოფილიყო. მან ქართული ენის
სწავლება დააფუძნა მისაწვდომობის,
თვალსაჩინოების და სისტემატურობის

დიდაგტიკურ პრინციპებზე, ნაცონობის
დან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე
მარტივიდან რთულზე თანდათანობით
გადასვლის წესებზე.

იაკობ გოგებაშვილმა „დედაენა“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა და დაიბარა: „თუ „დედაენა“ გაუკეთესებას მოაკლდება, ის მოკვდება“ ანუ, მისი თქმით, „დედაენა“ სისტემა ტურად უნდა გაუმჯობესდეს და დროების შესაბამისად შეიცვალოს. მაგრა მას, ამასთან ერთად, ჰქონდა ერთო მოთხოვნაც: „დედაენა“-ში ცვლილება არ უნდა შევიდეს თვითმიზნურად, ვის საც რა მოუნდება, ისე. ვინც გოგებაშვილის „დედაენა“-ში ცვლილებები შეიტანა, დღეს უკვე ავტორებად გვევლინებან. ავტორად რომ იწერებოდებოდაც უნდა შეცვალო, ამიტომ არით თვითმიზნური ეს ცვლილებები. ცვლიან ან ცუდად და „აფუჭებენ“ „დედაენა“ ს. თვითონ დიდმა იაკობმა ანდერძში თქვა, რომ „დედაენა“-ში ცვლილებები დროის მოთხოვნის შესაბამისად უნდებოდეს და არა ერთი კაცის ნებით და სურვილით. ცვლილებას აუცილებელად უნდა დაეთანხმოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის 3/4 წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ მიიღება. ამ საზოგადოებაში, მოგეხსევებათ, გაერთიანებული იყო იმდროინი დელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა. აი, ასეთ პასუხისმგებლობას ანიჭებდა „დედაენაში“ შესატაც ცვლილებებს იაკობ გოგებაშვილი.

— დღეს დღის ნესრიგში დადგ „დედაენის“ სკოლაში დაბრუნების საკითხი. უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც „დედაენის“ შინაარსობრივ ნაწილი შეაჯერებს და მის დამტკიცებაზე იმუშავებს. რა რეკომენდაციების მიცემა შეგიძლიათ სამუშაო ჯაფოსისათვის?


— პოეტმა და პროზაკოსმა გრინ
გოლ აბაშიძემ თქვა: „დედაენის“ შექმნა
ნა — ეს არის ყველაზე დიდი წვლილი
რომელიც კი ჩვენს წინაპარს შეუტანა
ნია ერის კულტურულ ცხოვრებაში“
რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები
ამიტომ, იაკობ გოგებაშვილის საზო
გადოებამ დასვა საკითხი — დედაენას
მინიჭებოდა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის
სტატუსი.

ნილი ქეგლისა — ქართული ანბანისა. ასე რომ, იუნესკო იცავს მას. იუნესკო თავისი კონვენციებით ავალდებულებს ქვეყნებს, რომ უზრუნველყონ ქეგლის დაცვა და სიცოცხლისუნარიანობა. თუ ეს ქვეყანამ ვერ შეძლო, მაშინ ქეგლი სტატუსს კარგავს. რას ნიშნავს „დედაქინის“ სიცოცხლისუნარიანობა? ის უნდა შევიდეს სკოლებში, თუ არადა დაკარგავს სიცოცხლეს. მას არ უნდა შევეხოთ ისე, რასაც ავტორის ნება არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, გოგებაშვილის საზოგადოებამ პარლამენტისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი — კულტურული მემკვიდრეობის ქეგლის დაცვა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე მოხდეს. ამჟამად, პარლამენტში მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გულისხმობს განათლების კანონში დამატების შეტანას, სადაც ჩანარილი იქნება შემდეგი: თუ სახელმძღვანელო შედგენილია კულტურული მემკვიდრეობის ქეგლის საფუძველზე, მას იცავს სახელმწიფო, არეკვემდებარება ჩეცულებრივ გრიფირებას და სავალდებულო ხდება სკოლებისთვის. ამ ინიციატივაზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს ქალბატონ მარიამ ჯაშისა და ბატონ ზაზა გაბუნიას მხარდაჭერით. საკანონმდებლო ინიციატივა ავალდებულებს ასევე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს — შექმნას კომპეტენტური და პროფესიონალური კომისია, რომელიც ამაღბაშივლის

დატოვებულ „დედაენას“ სკოლაში შესატანად მოამზადებს. „დედაენის“ ავტორი ამბობს, რომ ბავშვის სწავლა მარტივი სიტყვებით უნდა დავაწყებინოთ, შემდეგ გავართულოთ ფრაზებით, რომლის წაკითხვით მიეჩვევა ტექსტის კითხვას. საანბანე ნაწილში იაკობ გოგებაშვილი ძახილის ნიშანს და მძიმეს არ იყენებს, იყენებს მხოლოდ წერტილს და კითხვის ნიშანს, რათა არ დატვირთოს ბავშვის გონება. აი, ამ დონეზეა ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული. „დედაენაში“ შეიძლება მხოლოდ ისეთი სიტყვები შეიცვალოს, რომლის მნიშვნელობა თანამედროვე ბავშვს არ ესმის. ეს სიტყვები ტექსტში დროის შესაბამისად უნდა ჩანაცვლდეს, ისე, რომ არ დაირღვეს ანბანის სწავლების პრინციპი... ეს კი კომისიამ უნდა გადაწყვიტოს. კომისიაში აუცილებლად უნდა იყოს ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტი, პედაგოგიკის სპეციალისტი, პრაქტიკოსი პედაგოგი, მხატვარი, დათისმეტყველი...

1935 წლიდან დაიწყო „გოგებაშვილის მიხედვით“ შექმნილი სახელმძღვანელობის სკოლებში შეტანა. „დედაენა“ მრავალჯერ გადაკეთდა, ამას კი ბოლო უნდა მოეღოს. გოგებაშვილის დანატოვარს მისი სახელი უნდა ერქვას და სკოლებში ისწავლებოდეს. ამაზე პასუხისმგებლობა ენიჭება სახელმწიფოს, რადგან „დედაენა“ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლია. ის ავტორმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა, რომელმაც თავისი არსებობა 1927 წელს შეწყვიტა. დღეს, ფაქტობრივად, მისი მემკვიდრე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სპორტის სამინისტროა.
იმედი გვაქვს, რომ იაკობ გოგე-
ბაშვილის „დედაენა“-ს სახელმწიფო
უპატრონებს ისე, როგორც ამას დიდი
მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე
იაკობ გოგებაშვილი იმსახურებს. მო-
მავალი თაობა ამ დიდებული წიგნით
უნდა შევიდეს წიგნიერების სამყარო-
ში.



როგორი თალი ელოდასა უნივერსიტეტს?

გვასუბრაზა ასტროლოგი მიხეილ ცაგარალი

3 ინადან ჩვენ უნივერსიტეტის პირადი რუქა არ გვაქვს, ამიტომ შევგიძლია მხოლოდ ზოგადად ვისაუბროთ. ვინადან 2019 წელი არის ტახის წელი, შემიძლია ვთქვა, რომ ეს წელი ხელს უწყობს საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, ახალი, საინტერესო პროექტების დასახვას და განვითარებას. იქნება ახალი გრანტები უცხოეთიდან, გაქტიურდება კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან და დაიდება კონტრაქტები უცხოურ უნივერსიტეტებთან — ეს თქვენს უნივერსიტეტსაც შეეხება.

მომავალი წელინადი იძლევა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის ახალ ეტაპზე განვითარების შესაძლებლობას. მათ შორის შეიძლება შემოვიდას ახალი საინტერესო პროექტები, მათ შორის, უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირდებული. წინა პლანზე წარმოიწვევს, მაგალითად, უცხო ენები, იურისპრუდენცია, ტურიზმი; მათზე იქნება მეტი მოთხოვნილება და იქნება საინტერესო ცვლილებები. ეს შეიძლება ითქვას, ზოგადად, უნივერსიტეტზე. მთლიანობაში კი, 2019 წელი საქართველოსთვის არის გარდამტები წელინადი. ცვლილებებია მოსალოდნელი პოლიტიკურ — დონეზე, იქნება დიდი საკადრო ცვლა. ეს თქვენს უნივერსიტეტსაც შეეხება — მოიყვანებ ახალ პროფესიონალ კადრებს, მაგრამ შორის, უცხოეთში მომუშავე სერიოზულ ხალს და ეს იქნება უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი საუკეთესო წელინადი.



თან. ამ მხრივ ასეთი კარგი წელინადი შეიძლება 12 წლის განმავლობაში აღარ გვქონდეს, ამიტომ, მათ შორის, ყველა უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობების გაუმჯობესებას უკავშირდება. ამდენად, ეს წელინადი სასიკეთოა, თუმცა დაძაბულიც იქნება, რადგან გამოიკვეთება ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

როგორ დავიჩედოთ კარგი ახალი თალი?

კონკრეტულად, 31 დეკემბერს ჩვენ უნდა გვქონდეს ორი სიმბოლო მაგიდაზე: ერთია ტახის, მეორე — ძალის სიმბოლო, რადგან ძალის წელინადი, აღმოსავალი კალენდრით, ჯერ კიდევ გრძელდება. მხოლოდ თებერვალში იწყება ტახის წელინადი. ამიტომ, რომ არ ვაწყენინოთ ამ წლის „მასპინძელს“, ორივე სიმბოლო უნდა გვედოს მაგიდაზე.

2019 წლის ძირითადი ფერია ყველი კალენდრით, უნდა გვითვალისწინოს, რადგან მთავრია, ეს არის საუკეთესო პერიოდი საქორნინო, სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, ოჯახის შექმნისთვის და, რაც მთავარია, ეს ყოველივე ცოტათი მაინც შეცვლის სასიკეთოდ ქართულ დემოგრაფიულ მდგომარეობას, რადგან ეს წელი კარგია გამრავლებისთვის.

მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები პროფესიონალების წინაპლანზე წამონევის მხრივ, ქვენის პოლიტიკურ ველზე მესამე ძალის თანადათან გამოვლენის კუთხით, რაც ბოლო წლების განმავლობაში არ ხერხდებოდა. რაც მთავარია, რასაც ითხოვს 2019 წელი, ეს არის რაც შეიძლება მეტი კონტაქტი უცხოეთთან და უცხოელების

ტახის თელიცადი

2019 წელი ჩინური კალენდრის მიხედვით არის ტახის წელინადი, რაც, იაპონურად, ღორის წელინადს ნიშანებს. ამ სიმბოლოებს თავისი მნიშვნელობა აქვთ — წლის ბოლოს კოსმოსი ყველა ჩინურთაგანს დაგვისვამს ასეთ კითხვას — როგორ გავიარეთ 2019 წელი? ბოლო-ბოლო, ვინ და როგორები ვართ ჩვენ — გულადი, კეთილშებილი, ერთგული „ტახი“ თუ წუმპეში მოარული „ღორი“? — აი, ამაზე გვექნება ჩვენი ცხოვრებითა და მიმედებებით გასაცემი პასუხი წლის ბოლოს.

2019 წელი — ეს არის წელინადი, რომელიც ითხოვს წინა პლანზე განსაკუთრებულ წამოწევას, ანუ ვინც იქნება ოპტიმისტი, მას ახალ წელინადს მეტი წარმატება ელის. ამასთან ერთად, ეს არის საუკეთესო პერიოდი საქორნინო, სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, ოჯახის შექმნისთვის და, რაც მთავარია, ეს ყოველივე ცოტათი მაინც შეცვლის სასიკეთოდ ქართულ დემოგრაფიულ მდგომარეობას, რადგან ეს წელი კარგია გამრავლებისთვის.

მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები პროფესიონალების წინაპლანზე წამონევის მხრივ, ქვენის პოლიტიკურ ველზე მესამე ძალის თანადათან გამოვლენის კუთხით, რაც ბოლო წლების განმავლობაში არ ხერხდებოდა. რაც მთავარია, რასაც ითხოვს 2019 წელი, ეს არის რაც შეიძლება მეტი კონტაქტი უცხოეთთან და უცხოელების



2019 წელი წარმატებული იქნება მშვიდოსნისთვის, ლომისთვის და ვერძისთვის; ეს წელი კარგია კუროსთვის; 2019 წელი შუა აგვისტოდან კარგი იქნება ქალწულებისთვისაც; ცოტა მეტი სივრთხის ესაჭიროებათ, დაახლოებით მარტის ბოლომდე, მერწყულებს — მათში სხვადასხვა სახის პრობლემებმა შეიძლება იჩინონ თავი, სამაგიეროდ მარტის შემდგომ საკმაოდ კარგი წელინადი ექნებათ მათ; თევზებს მხოლოდ მარტის ბოლომდე აქვთ კარგი წელინადი, მარტის შემდგომ მეტი სირთულები, ცდუნებები, შეგობრული ღალატია მოსალოდნელი — ამიტომ ამ ნიშანს ესაჭიროება, რომ ზედმეტი რისკის, ზედმეტი გადაწყვეტილებების გარეშე განვლოს შემდგომი თვეები წლის ბოლომდე.

ასტროლოგის სურვილები

უნივერსიტეტი არის მექა ქართული განათლებისა, ამიტომ რაც უნდა ვიღაპარაოთ სხვა უნივერსიტეტების და ინსტიტუტების მნიშვნელობაზე, ვთვლი, რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი პირველია, თუნდაც თავისი მშვინერი მთავრი პირველი კორპუსით. მართალია, უნივერსიტეტში გარეველი ცვლილებებია საჭირო, მათ შორის, შინაგამის ბიბლიოთეკის მთავრი პირველი კორპუსით, რომელიც აღმოჩენილი იყო მეტი წელი. წლის შესვედრა იწყება რადგან მინა მეგობრობს ხის სტიქიასთან, ე.ი. სასურველია ხის ატრიბუტებისთვისაც უპირატესობის მინიჭება. კვახი — ეს ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა მომავალი წლის. კარგი იქნება, თუ კვახს ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე გავჭრით, იქიდან თესლს ამოვილებთ და მიმოვანევთ ჩვენს სამზარეულოში — ეს არის ჯამშიროელი ფინანსების მოზიდვის ერთ-ერთი უძრავი ფინანსების მიმოვანევა. ასეთი კუთხით ადრე უნდა დავანთოთ ყვითელი ფერის 3 სანთელი და აუცილებლად მადლობა უნდა გადავუხადოთ წინა წელს და გავაცილოთ. როგორც კი ახალი წელი დაინტება, სანთელის ჩაუტვით — რაგინდათ. აი, ეს ტენდენციებია გასათვალისწინებების



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულაძე

მთავარი სახელმწიფო

მარა ტორაძე

უმცირესი რედაქტორი

განანა ჯურისაძე

ზურნალისამზადები:

ნატო ობოლაძე
თამარ დადაგიანი
შერთხია ბერიშვილი

ფოტოპორტორენდენი

ანა ბოლქვაძე

კომა. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქტორების ცენტრები:

იაგო კაჭაჭავიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევზ გველესანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაანი,
თემურ ნადარეშვილი,
მორის შალიაშვილი,
მაა ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლომუშვილი,
ნატა ასათიანი

მსახაროს:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ს მე-3 კორპუსი)

კ 222 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის

1 ოქტომბრის კიბეტი

გადასახატოვალის „უნი-ვერსიტეტი“

ტალავიზიონი გადასახატოვალის

საკართველოს კიბეტი

რეალური გადასახატოვალის

უნივერსიტეტის კიბეტი

უნივერსიტეტის კიბეტი

უნივერსიტეტის კიბეტი

უნივერსიტეტის კიბეტი

უნივერსიტეტის კიბეტი